


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 49 ნოემბერი, 19 1895 წ. № 49

**შინაარსი:** მივეშველოთ.—საჭირო პასუხი, აკაკისა.—საყურადღებო ამბები.—„მამას სანთელი გაუქრება“ პელაგიაშვილისა.—დოქტორი ქალი გრაფინა მარია ლინდენი.—ავსტრიის იმპერიის კანცლერი, გ. წერეთლისა.—ჩვენი სახლობა.—სუბსალექსი რ. საჯაოხელისა —ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან, ა. გარსევანაშვილისა.—მუცელა (გაგრძელება) ვაჟა-ფშაველასი.—საქველ-მოქმედო საქმე.—

## მივეშველოთ!

როგორც მკითხველს მოეხსენება ხანგრძლივმა წვიმებმა და წყალდიდობამ საშინელი ზიანი მისცა მთელ საქართველოს. მეტადრე დაზარალებულია ქუთაისის გუბერნია. ნიაღვარმა წალეკა მინდორში დარჩენილი სიმინდი, დააქცია მრავალი სახლი, ჩამორეცხა სოფლები, რკინის გზის ხიდები დაანგრია და ლიანდაგი მრავალს ადგილს სრულიად გაანადგურა. მთელი იმერეთი შეწუხებულია. ამ საშინელ მდგომარეობას ერთი ორად აძნელებს უგზოობა და მოწყვეტილი მხარე ღვთის ანაბრობაზე არის დატოვებული. ასეთ შემთხვევაში, როდესაც ნახევარი საქართველო განსაცდელშია ჩავარდნილი, ჩვენ არა გვმართებს ყურის მოყრუება. კარგათ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ ჩვენი თავის მეტი პატრონი არავინ გამოგვეჩინდება. ამიტომ საჭიროა ჩვენვე მივხედოთ დაზარალებულთ და გაჭირებულთ ხელი გავუწვდინოთ. ამას მოითხოვს არა მარტო კაცთმოყვარეობა და ქველმოქმედება, არამედ თვით სახელმწიფოს ინტერესი, რადგან ათასგვარი „ნედოიმკა“ არის უწინარეს ყოვლისა შედეგი ხალხის ქონებრივი უძლურებისა. ჩვენ გავიგეთ, რომ კნ. მარიამ ჯამბაკურორბელიანისას უკვე განუზრახავს კომიტეტის დაარსება, რომელმაც კისრად უნდა იდოს დახმარების ორგანიზაცია. იმედია, მთელი ქართველობა გულწრფელი თანაგრძნობით მოეკიდება ამ ყველასთვის სავალდებულო საქმეს და არ დაზოგავს თავ‚ს წვლილს. ამ საქმეში დიდი დახმარება შეუძლიათ ქალებს და სწორეთ ეხლა მართებთ მათ თავის გამოდება.

## საჭირო პასუხი

მაშინ როდესაც სხვები მიზეზს გვიკრეფენ და ცილის წამებას ველარ აუვედით, ქართულმა გაზეთმა ერთი უცნაური მითაური წერილი გადმოგვეშურდულა!.. უსამართლოთ გაგვწირა და უმიზეზოთ გაგვიმეტა!!. აი მთავარი აზრი და სარჩული იმ სტატიისა:

„აგერ გაისმა ხმა სამარცხვინო, რომლისაც თქმის ნებას არ მაძლევს პირი, სამწუხაროდ ამ შემთხვევაში წუღით გავსებული .. და ამ ხმას მოჰყვა...

მოჰყვა ის, რასაც გვიამბობდა „კავკაზის“ ამა წლის 298 №-ში... ქუთაისის ქართველობამ... ქუთაისის ქართველმა მოსწავლე ახალგაზრდობამ (თუ ეს დასაჯერებელია!) შებღალეს ის ტრადიციული სიწმიდე ძველად მამა-პაპათაგან დაცული და შვილითი შვილად შენახულ გადმოცემული ანდერძი... იწინეს სიმძულვარე ებრაელთა“ და სხვანი...

„ადგილვა და ასია სამტროდ, შურისძიებად მთელს ებრაელებზე მთელი ქალაქი, აადგილვა მოსწავლენი... აადგილვა სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი, მომავალი მოძღვარნი სქრისტიანო სამწყსოებისა და მიუსია მტერს კი არა მეზობელს“ და სხვანი.—„ვსდევნით ვის? ებრაელთა!“ და სხვანი. „სად არის სათავე ამ უცნაურისა და სამწუხარო მოვლენისა?.. სამწუხაროდ, სხვათა შორის, ზოგიერთა ნაკადულებს ამისას ვპოულობთ ჩვენს მწერლობაშიაც, რომელნიც ამ ათიოდ თხუთმეტი წლის წინად ისე ენერგიულად გაჰკიცხა ბ--ნმა ნ. ნიკოლაძემ... მწერლობა, ის ქართული მწერლობა, მქადაგებელი ეროვნებათა მძულვარებისა, სარწმუნოებათა დევნისა, და სხვანი“.

ეს ძლიერი გოდება იერემიასი, პილატეს გაჩინებასთან გადაბმული რამ გამოიწვია, მკითხველო? როგორ გგონია? იმ უბრალო ამბავმა, რომელიც მოხდა ამ წლის 16 ოქტომბერს ქუთაისში... და აი რა მოხდა: 12 ოქტომბერს მოწამეთიდან დაბრუნებულმა სოფლელებმა შენიშნეს, რომ ურიები მიჰყვებოდნენ ერთ გადარეულ ქალს და აწვალებდნენ, შეუტიეს—გააშველეს და წაიდეს თავისთვის. ამ დროსვე ჩამოვლის, მოწამეთიდანვე მომავალი, ლუკა კოსტავა; მიჰყვებიან იმას ებრაელები და დაუწყებენ ცემას. კოსტავა ხანჯალს იძრობს და იგერებს. (ნუ დაივიწყებთ, რომ არც დაჭრილი და არც გალახული ებრაელთაგანი არავინ აღმოჩნდა.) ბოლოს გაექცევა და ჩაირბენს რიონის პირათ. ჯარი მისდევს. შეშინებული კოსტავა გაივლის რიონის პატარა ტოტს ებრაელებიც გაჰყვებიან. ჰყვირის: მიშველეთო და მშველელი კი არსადა ჩანს, არც პოლიცია და არც გარეშე ვინმე. მხოლოთ გაღმიდან, ფერმის გზიდან, ამ ამბავს ხედავს რუსის პოეტი ველიჩკო და მისი და; უყვირსთ, ყვირიან; „უშველეთო“. გაჭირებული და უმწეო კოსტავა გაიძრობს ჩოხას და ჩავარდება რიონში, რომ გასცუროს, მაგრამ მდევნელები ქვებს უშენენ; დაქოლვილი კოსტავა, რიონს მიაქვს და ებრაელები ბრუნდებიან თავ-თავის სახლში. სამ დღეს ეძებენ მკვდარს და რომ ველარ იპოვნიან, 16 ოქტომბერს ამოვლენ ქუთაისს, ჭირისუფლები და სახლიკაცები, მოლაპარაკე-ქეტირლები, 500 კაცამდე და მიჰმართვენ მთავრობას შემდეგის ვედრებით: „გვიპატრონეთ! ნუ მოგვაკლებთ სამართალს!—ამ გვარი შემთხვევა პირველი არ არის ჩვენს თავზე!.. ჩვენს მოთმინებას საზღვარი აღარა აქვს! აი აგერ კაცი მოგვიკლეს უზიარებელი... დაუმარხავი დარჩა, გვამიც ველარ ვიპოვეთ და დამნაშავეთ კი ხმას არავინა სცემს.—მართალია, დაუჭერიათ რამდენიმე ბავში... მაგრამ ეს სულ ტყუილია: იმათ ბრალი არა აქვსთ!.. ნამდვილი დამნაშავენი, ხელ უხლებლათ, გზა-გზა დაფარფაშობენ და ფულებს აჩიავებენ, რომ საქმე როგორმე ჩაფარცხონ.—ბავშებს მიტომ აბრალებენ რომ, იციან იმათ საკანონო ბევრი არა მოეთხოვებათ-რა. გთხოვთ დააჭერინოთ ნამდვილი დამნაშავენიო!“

ეს მორჩილებითი თხოვნა ზოგიერთებმა იუცხოვეს და უნდოდათ სხვა ხასიათი მიეცათ: კიდეც შეუჩხიკინეს, მაგრამ ბევრი არა გამოვიდა-რა... ხალხის გონიერებამ თავი შეიკავა. შეიძლება, რომ მართლაც გაზვიადებულიყო საქმე, მაგრამ გუბერნატორის კეთილ-გონიერებამ გასჭრა. დაპირდა თუ არა ხალხს: კანონიერათ გავირჩევთო და დასახელებული პირებიც დაატუსაღა თუ არა, ხალხიც, მადლობის გადამხდელი, დამშვიდდა და დაიშალა.—სწორეთ, ასე იყო ეს საქმე. აქ არც მთავრობის წინააღმდეგობა იხატება და არც ებრაელთა სიძულვილი!.. პირ იქით ეს ამტკიცებს, რომ იმერლები გონივრულათ წინდახედული და კანონის მორჩილები არიან... სადაც ასი და ათასი სულია თავ-მოყრილი, განა შეიძლება რომ იქ უწესობა არა მოხდეს-რა? მაგრამ აქ კი მაგდენი არა მომხდარა-რა. თვით გარეშეებიც კი გაოკვირვა მათმა ქცევამ. აი რა გვიამბო ერთმა იქ დამწრე რუსის მწერალთაგანმა: „მე სწორეთ ვერ წარმოვიდგენდი, თუ სადმე ან რომელიმე ხალხს შეეძლებოდა ისე ჭკვიანათ თავის დაჭერა, როგორც იმ დღეს იმერლებმა დაიჭირეს!.. მართალია ცოტაოდენი კინკლაობა კი მოხდა, სულ უმნიშვნელო, აქაიქ ერთმა-ორმა კაცმა ქვაც გაისროლა, მაგრამ ეს გამოწვეული იყო იძულებით და მათრახით. ჩვენში ბევრჯელ მოხდება ხოლმე, ამ გვარი ყრილობა და არაოდეს ასე მშვიდობიანათ არ თავდება. რომ ჩემი თვალით არ მენახა ვერ დავიჯერებდიო.“ ესე ამბობენ ერთხმათ იქ დამსწრეები, როგორც შინაური ისე გარეშეც—თვით პოლიციის პროტოკოლიც, რომელზედაც ქართულ გაზეთის მეთაური ამყარებს თავის რისხვას, ვერაფერს ამბობს მაინც და მაინც ქუთათურების გასამტყუნარს!.. მაგრამ მაინც კიდევ მიუხედავათ ამისა, არიან მისთანავები, რომელნიც ცდილობენ გაზვიადონ ეს უბრალო საქმე და სულ სხვა გვარათ ახსნან. და აი სწორეთ ამისთანა დროს, უსამართლოთ ცილსა სწამებს ქვეყანას, მეთაური

წერილის ავტორი. უთითებს იმერლებზე და უსისიანებს მოსწავლე ახალგაზდობაზე!.. რათა და რისთვის? რა მტერობა აქვს ან ერთან და ან მეორესთან? არაფერი!.. მხოლოთ ისე წაიკუდაბზიკავა, რომ თავი ლიბერალათ და ვითომ მცოდნე კაცათ გამოეჩინა!—ნუ თუ მარტო ამისათვის გააზვიადა... გაჰბერა ეს საქმე და ალმური აადინა, რომ თავი გამოეჩინაო? იკითხავს ვინმე—და დიახ სწორეთ მაგისათვინ და თან კიდევ უფრო დიდი ხელოვნური მოსაზრებითაც: ჯერ ჰსურდა, რომ საქმე გაეზვიადებია და მერე დაემტკიცებია, რომ ამ უბედურების მიზეზი ის არის, ვინც ამა და ამ დროს ერთი საშინელი სტატია დაწერა რომლითაც ებრაელების დევნას ურჩევდა ხალხს და რომელიც ისე სამართლიანათ გაჰკიცხა ნიკოლაძემო. აი ახლა გასჭრა იმ სტატიამ, ბრალი უნდა იმ პირს დაედვასო და სხვანი... ვინ უნდა იყოს ის პირი... ის შეჩვენებული ავტორი, რომელსაც სტატიის მწერალი არც კი ასახელებს? ის მე გახლავართ, აკაკი!.. მე დავწერე ებრაელების შესახებ სტატია და ნიკოლაძემაც მე მიპასუხა!!. მაგრამ ისიც თავისებურათ გაუგია და თავისებურათ აუხსნია ბატონ იერემია პილატეს. და რომ სიმართლე აღვადგინოთ უნდა მოვიგონო ის სტატიები. აი რა სტატიები იყო:

1871-ში „დროების“ 31 №-ში ჩემი ერთი ფელეტონთაგანი იყო დაბეჭდილი, სადაც სხვათა შორის გაკვრით იყო მოხსენებული შემდეგი რამ: „ანბობენ რომ „პარასკეობის“, ესე იგი პარასკევ დღეს, იარმორკობის, გადაგდება უნდათო და ურიები კი ჯავრობენო! ეს ძალიან კარგი ამბავია. „პარასკეობა“ თათრების დროიდან არის დარჩენილი ჩვენში, როგორც მათი დღესასწაული... ალბათ ძალას ატანდენ ქრისტიანებს, რომ იმათაც ეუქმათ. და დღეს თუმცა ძალას არავინ გვატანს, მაგრამ მაინც ჩვეულებისათვის თავი ველარ დაგვინებებია. ეს ჩვეულება, ერთი რომ ქრისტიანობის საწინააღმდეგოა და მეორე ხალხის საზარალოც, რადგანაც მთელი დღე უსაქმურობაში ეკარგება მუშა-ხალხს... ნუ დავივიწყებთ რომ შაბათ-ნაშუადღევს, როგორც კვირაძალს, ხალხი უქმობს... კვირაც ხომ უქმეა და ამ გვარათ კვირაში გადაბმულათ სამი სამუშაო დღე იკარგება და იარმარკა, ანუ ბაზრობა, რომ შაბათისათვის და კვირისათვის გადასდევან ამით არავის არა უფუჭდება რა, თუ არ უკეთდება. რაც შეეხება ურიებს აი იმათზე რა უნდა მოგახსენოთ: ჩვენში იმათზე უფრო უსარგებლო და მავნებელი ხალხი არ მოიპოვება!.. არც ხვნა-თესვა იციან, არც არა რაიმე ხელობა... ვაჭრობათაც არ ვარგიან: დაუხვდებიან სოფლელებს გზაში, ნახევარ ფასათ ართმევენ ყოველგვარ გასაყიდებს, შემობრუნდებიან ქალაქში და ერთი ორათ ჰყიდიან. ამგვარათ გლეხებსაც აკლებენ და ქალაქის მცხოვრებლებსაც ჰგლეჯავენ.—მეტი საქმე კი არა აქვთ რა!.. ქალაქის თავში სახლობენ ერთ პატარა ფარგალ ადგილზე; სადაც ადრე სულ 50 კომლი მოთავსებულან, დღეს იქვე ხუთასი მოსახლეა. მრავლდებიან და მაინც იქვე იხურხლებიან. არ უნდათ, რომ გაიშალონ-გაგანიერდენ და სხვა ადგილი სადმე შეიძინონ.—ამით საძაგელი უწმინდურობაა მათში!.. ყოველი სენი პირველათ მათგან გაჩნდება ხოლმე. ამასთანავე ნაგავს, ტალახს, ჭუჭყიან სარეცხს და ყოველგვარ საუწმინდურო რამეს, რიონში ჰყრიან და სხვა მცხოვრებლებს წმინდა წყალი ველარ უშოვიათ.—ვორონცოვს თურმე უნდოდა, რომ სხვაგან სადმე, კუნძულზე ან ქალაქის ბოლოზე, გადაესახლებია, მაგრამ ეს არ მოხერხდა რაღაც მიზეზით და ახლა ერთად ერთიღა საშუალობა დაგვრჩენია, რომ მთავრობამ და ხალხმაც ძალა დაატანოს, რომ იმათ შვილები მაინც გამოზარდონ და გაანათლონ, მით უფრო რომ შეძლება აქვთ... ფულიანები არიან!.. თორემ თუ დღეიდანაც ისე დარჩენ გაფანატიკოსებული უგუნურების გამო, მათთვისაც ცუდი იქნება და ჩვენთვისაც მეთქი“. აი ეს გახლავსთ დედა აზრი იმ სტატიის, რომელიც სიდიდის გამო აქ აღარ ამოვწერეთ და ვისაც ჰსურს შემოწმება, ვთხოვთ, წაიკითხოს „დროებაში“ № 31—1871 წ. ამის საპასუხოთ აი რა თქვა ნიკოლაძემ: „ჩვენი თანამშრომელი აკაკი გუშინ ერთ საყურადღებო საგანს შეეხო ჩვენის ცხოვრებისას, ურიების ყოფა ცხოვრებას. ჩვენ სრულიათ თანა უგრძნობთ მას, სრულ სიმართლეს ანბობს, მაგრამ ის მარტო ერთი მხრით შეეხო და ჩვენ კა საჭიროთ ვხედავთ ყოველ მხარეს შევეხოთ და უყურადღებოთ არ დავსტოვოთო.“—მოგვითხრო. მათი, ისტორიული თავ-გადასავალი და ბოლოს იგივე სთქვა რაც ჩვენ: მხოლოთ განათლებას შეუძლია მათი გასწორებაო. (იხ. „დროება“ 1871 № 32).

აი ეს პირველი სტატია გახლავსთ თურმე ის ბოროტების ნაკადული, რომელიც ქვეყანას რყვნის, ლიტერატურას აჩირქიანებს, ტომთა და რჯულთა დევნას ჰქადაგებს და ანბოხებას ახდენს ოც-და-ოთხის წლის შემდეგაც. მეორე სტატიაც თურმე ის შესანიშნავი და სამართლიანი რამ, რომლითაც, ვითომც, მე გამკიცხა ბატ. ნიკოლაძემ!.. კი, მაგრამ სად არის ან ერთი მაგ გვარი რამე? იფიქრებს მკითხველი. და ჩვენც მეტს ვერას ვუპასუხებთ: მხოლოთ მეთაურ-წერილის ავტორის თავსა და გულში!.. სხვაგან არსად!!.

ვინ არის ის უცნაური ავტორი? ისეთი პირი და ისეთი გვამი, რომელსაც ჩვენ კარგათ ვიცნობთ

რომელსაც სრული ნება აქვს, რაც უნდა ის ბრძანოს!.. ჩვენ არაოდეს პასუხს არ შევკადრებთ, რადგანაც მის დიდ-ნიჭიერებას და მაღალ ცნობა-მეცნიერებას სრული უფლება აქვს, „ჰოცა“ ბრძანოს ხოლმე და „არაც“. მაგალითათ: აქ ბრძანებს „არას“ თორემ სხვა დროს და სხვაგან, რომ ჩამოვარდნილიყო საუბარი, კვირაში თითო დღის უსარგებლოთ მოცდენაზე, მაშინ ის სულ სხვა ნაირათ გაჰკიველებდა... მალტუსიდან დაწყებული კარლ მარქსამდე სუყველა გამოჩენილ პოლიტიკო ეკონომების სახელსა და გვარს ჩამოაკრიალოსნებდა, უწმინდურობაზე რომ თქმულ იყო რამ, გიგიენას მიმართავდა და ჰიპოკრატიდან შარკომდე ჩამოთვლიდა მკურნალებს!.. განათლებაზე რომ ჩამოვარდნილიყო საუბარი, სოკრატიდან დაიწყებდა ვილაც მისგან გამოჩხრეკილ „ბარუხ-ჩარუხს“ ჩამოუვლიდა და პისარევს მიაწყდებოდა... დიახ, სწორეთ ასე იქნებოდა... მაგრამ... ეჰ, რაღა მაგრამ?..—მისი ნათქვამ-ნაბძანები ყოლიფერი საგულისხმოა და საამინო!.. იმას ვერასა ვკადრებთ, მაგრამ რა უნდა ვთქვათ იმ გაზეთზე, რომელიც ჰბეჭდავს ამისთანა მეთაურებს?“

ესეც მკითხველებისათვის მიგვინდვია და ჩვენ მხოლოთ ვიტყვით, რომ მართალის ბრძანებს სალმრთო წერილი: „წამითი სიცოფე ბრაზი არისო!“ ძნელია სურვილის გაბოროტება... არ შეიძლება რომ იმან გონებასაც ხელი არა ჰკრას გადულებელ ღვინოსავით!!. სამოძღვროთ გამოსვლა და ქვეყნის დარიგება ადვილი საქმე არ არის!.. ნათქვამია ცულის აღება ბრძენსაც შეუძლია და რეგვენსაცო, მაგრამ მოხმარება კი სულ სხვა-და-სხვა ნაირი იქნებაო!.. კალამს ყველა მოერევა, რომ ხელი სტაცოს, მაგრამ იმას არა აქვს ნება მისი შეხების ვინც, სანამ ხელს მოჰკიდებდეს კალამს სამჯერ მაინც არ გაიმეორებს წინასწარმეტყველის სიტყვებს: „გული წმინდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი გაგანმიახლე გვამსა ჩემსაო“.

აკაკი

## საყურადღებო ამბები

ქართველები ოსმალეთში: დიდი ხანია მას შემდეგ რაც ოსმალეთში მცხოვრებთ ქართველთა კვალს ვეძებ და მინდა შევიტყო, თუ ჩვენი შვილებით და ძმებით სად და რა ადგილებია ოსმალეთში საესე, სად ცხოვრებენ იქ ქართველნი. ამის შესახებ მე ბევრს მუჯირთაგანს დავავალე, რომ რამე სარწმუნო ცნობები შეეკრიბა და გადმოეცა ჩემთვის. სხვა-და-სხვა დროს მე ზოგიერთას პირებისაგან სულ სხვა-და-სხვა ნაირი ცნობები მივიღე. წელს, როცა შავშეთიდან დავბრუნდი, მაშინ ერთი სარწმუნო ქართველ მაჰმადიანისაგან, რომელიც ტრაპიზონში ვაჭრობს და რომელიც წელს საქართველოში დაბრუნდა, მივიღე შემდეგი ცნობა, რომელიც მომყავს აქვე:

ქართველები ოსმალეთში ვინ იცის, სად არ ცხოვრებენ, ბურსოს, დიარბექირსაცკი და სხვაგან. სხვათა შორის შავი ზღვის ნაპირას შემდეგ ადგილებში ცხოვრებენ:

| | | |
|---|---|---|
| ხოფას, | 100 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| ორხავეს | 100 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| მათაურას | 120 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| იროზას | 100 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| სურმენის, | 150 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| ოფის | 120 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| ტრაპიზონს | 100 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| ფლატანას | 100 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| ბევგველმანს | 120 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ, |
| თრიპოლს | 100 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| გერესონს | 100 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| მაფაურს | 120 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| აბდალას | 100 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| ორდუს, | 1000 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| ბაცას | 1000 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| უნიას | 1000 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| თერმეს | 100 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| ჩერშეგმეს | 100 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| სამსონს | 140 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |
| სინაპს | 130 | კომლი. ქართულს ლაპარაკობენ. |

ბოლომანი, ახალი ქალაქია, 200 კომლი სულ ქართულს ლაპარაკობენ, სამუჯიროა.

აქ ქართველები ერთმანერთში სულ ქართულს ლაპარაკობენ, მიდევენ ხელოსნობას, ხვნას, თესვას, მცირეთ ვაჭრობას, ნავოსნობას და მით ცხოვრებენ.

ოდესმე წარმოვადგენთ სრულს ცნობას ყველა ქართველებისას, თუ დღეს მთელს ოსმალეთში, სად რამოდენი კომლი ცხოვრებს და ისინი დღევანდლამდე, სად რა ენაზე ლაპარაკობენ.

ზ. ჭ.

***

ქვემო იმერეთი: ქუთაისის მაზრას თითქმის ვაკე ანუ ქვემო იმერეთი შეადგენს და შედგება მრავალ დიდ და პატარა სოფლებისაგან. ყველა ეს სოფლები მდებარეობით, ჰავით და მცხოვრებლებით ძლიერ ჰგვანან ერთმანეთს, მხოლოთ დასავლეთისაკენ კი ჰავა თანდათან სხვავდება: ჭაობები ქვეით უფრო მატულობს და იმიტომაა, რომ კიებ-ცხელება იქ უფროა გავრცელებული, მანამ ზევით. მცხოვრებთა ერთათ ერთს სახსარს ცხოვრებისას შეადგენს ხვნა-თესვა. თესვენ უმეტეს ნაწილათ სიმინდს და ღომსა; ამ ბოლო ხანებში, რადგან ზაფხულობით ძლიერი გვალვები დაიწყო და სიმინდის ყანები ისე ველარ ხეირობს დაუწყეს პურსაც ბლომათ თესვა და კარგი მოსავალიც მოდის. მაგრამ როცა პურის ფასმა სიმინდიეით დაიწია, ისევ სიმინდის თესვას მიჰყვეს ხელი, თუმცა მისმა მაზანდამ სულ გული შეუწუხათ გლეხებს. ეს ხუთი-ექვსი წელიწადია სწორეთ, რომ ქუთაისის, გუბერნიაში სიმინდი ჩალის ფასათ გადის.

რა ჰქნას ამ შემთხვევაში მუშა კაცმა? მთელი წელიწადი მიწის ხვნას, ფარცხვას და თესვას უნდება, წელი აქვს მოწყვეტილი და საჭიროების დროს თავისი ჭირნახული ჩალის ფასათ უნდა გაჰყიდოს?!. არ გაჰყიდოს—და რომელ მოთხოვნილებას გაუძლოს საწყალმა? ხელმწიფეს, მღვდელს, მასწავლებელს, მწერალს, ხევისთავებს სულ ის უნდა ემსახუროს და ხარჯი აძლიოს. ამიტომაა რომ ყოველი მუშა-კაცი ამას გაიძახის:—,,ღმერთმანი აღარ ღირს ცხოვრება და სიცოცხლე ახლანდელ დროში; ვშრომობთ, ვშრომობთ და ხელში კი არაფერი გვრჩება, მოთხოვნილება კი აუარებელი გვაწევს თავზედ და რომელს გაუძლოს კაცმა? დედამიწამაც რომ გვიღალატა და იმდენ მოსავალს აღარ იძლევა, რამდენსაც წინეთ?“ აი, ასე ემდურის მუშა კაცი დედამიწას და ის კი არ იცის, რომ მას შემოელია ძალა, სინოყივრე, გამოფიტდა და თხოულობს სასუქს, სარწყავს და სხვა საშუალებათ, რომლებიც აძლევენ მას ძალას და ანოყიერებენ. ამასთანვე უნდა დაუმატოთ ოჯახში სხვა-და-სხვა ავათმყოფობა, რომელიც ყოველ კაცს დიდ ზარალს აძლევს, როცა ეწვევა ხოლმე. კიდევ კარგი თუ საწყალმა ნასწავლ ექიმს მიმართა, თორემ ბევრჯელ მოხდება (თითქმის უფრო ხშირათ) ისეთ ცრუ-მატყუარა მკითხავ-ექიმთან მივა, რომელიც ფასათაც დაუსვამს საწყალს და რგებითაც ავათმყოფს არას არგებს მისი მოგონილი წამალი· საუბედუროთ ცრუ მორწმუნოება, მკითხავ-მარჩიელების პატივისცემა ქვემო იმერეთში ძლიერაა გავრცელებული, საზოგადოთ, აქაური გლეხია თუ აზნაური ყველა უარს ჰყოფს ნასწავლ ექიმებს და ისე გაურბის, როგორც ურია ღორის ხორცს.—,,აი ღმერთმა ამოაგდოს დოხტურები იმათ არა იცოდენ-რა, ავათმყოფი იმგენს არ მიუყვანო მოსაკლავათ, ისე კი არ მოკვდება, თუ გაწირულია. ხოლერობის დროს ნახევარი ხალხი იმათ ამოჟლიტესო“. არა ნაკლებ დაჰკარგეს ნდობა, პატივისცემა ხალხის წინაშე ახალგაზდა მღვდლებმა და სოფლის მასწავლებლებმა. ჩემი ფიქრით ეს მისი ბრალია, რომ მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. მღვდელი სამღრთო რიგს თუ შეუსრულებს მრევლს და სადილს მიირთმევს, თორემ ისე არავის მიეკარება სიახლოვეს. ქადაგება ეკკლესიაში, უბრალო საუბარი ხალხთან მათ გაჭირვება და ლხინზე ახლანდელ მღვდლებს მეტ ბარგათ მიაჩნიათ. ამიტომაც არის რომ ხალხიც სხვა ნაირათ უყურებს მათ. სწავლაზე და სკოლებზე აქაურები ამ აზრისანი არიან:—,,ბატონო ვინც რამე ისტავლა, ჩვენვე გაგვაძრო ტყავი. კლასი ჩვენ ბოვშებს აფუჭებს და ამიტომ სულ არ გვინდა გავალოთ და არც ჩვენ ბოვშებს ვასტაველოთ რამეო“. და მართლაც ქვემო იმერეთი ძლიერ ღარიბია სამრევლო და სახალხო სკოლებით. სადაც არის იქაც მასწავლებლების დაუდევნელობით ხშირათ იკეტება. ამიტომ არიან საჭირონი ქვემო იმერეთში ისეთი უანგარო მუშაკნი, რომლებიც ხალხს გააგებინებენ თუ რაა მათთვის ცუდი და კარგი, რაა საჭირო და სასარგებლო, რომ ამით ცოტათ თუ ბევრათ რამე ეშველოსთ საწყლებს და ბნელით მოცული მათი ცხოვრება განათლდეს. წიგნთ-საცავებს და სამკითხველოებს, სანთლითაც რომ ეძებოთ, ხომ ვერ იპოვით ქვემო იმერეთში...

ს. ჯი—ლი

***

სვანეთი: თუ ბევრჯელ თქმულა და ეხლაც ლაპარაკობენ ერთ ხალხის დამღუპავ ჩვეულებაზე იმერეთში, მით უფრო სალაპარაკო არის იგივე ჩვეულება სვანეთში, რადგან იქ იგი უფრო დამღუპავი და ოჯახის ამომგდებია. მე მოგახსენებთ მიცვალებულის ტირილზე. მკითხველმა, უეჭველია, კარგათ იცის, როგორ ასრულებენ ამ ჩვეულებას იმერეთში, იგივე ხდება სვანეთშიც, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში, ბევრით თუ არა, ორჯელ მაინც მეტი ხარჯი მოსდით. მოკვდება თუ არა ვინმე, მთელი სოფელი, კაცი თუ ქალი, თავს იყრის მიცვალებულის ოჯახში; ყოველ დღე აქ სადილობენ და ვახშმობენ. უკანასკნელ დღესკი აი რას ჩადიან: ყველა ოჯახიდან მოაქვთ ტომარა ან გოდორი და მიდიან პურ-ღვინოს დამრიგესთან. დამრი-

ჯე ვალდებულია გაგზავნოს ყოველგან „არჩივი“, მაგრამ იმდენი კი, რომ ოჯახში თითო სულს შეხვდეს უსათუოთ სამ-სამი პური და ერთი ბოთლი ღვინო ან არაყი მაინც. ამ ანგარიშიდან არ გამორიცხვენ ერთი თვის ბავშსაც. „არჩივი“ გოდორში ჩააწყვეს, მაგრამ ნუ ჰგონიათ უსადილოთ წავიდენ სახლში. აბა რა საკადრისია: ჯერ უნდა რიგიანათ იქეიფონ, მიცვალებულს შენდობა შეუთვალონ და მერე როგორც იფიქრებენ. მთელ სოფელს კიდევ ორჯელ შეხვდება ერთათ ყოფნა მიცვალებულის ოჯახში: ერთხელ ალაბზე და მეორეთ იმ დღეს, როდესაც ხორცი უნდა აჭამონ ჭირის უფალს. ეს დღე ცოტა გვიანდება, რადგანაც არიან ისეთი ჭირის უფალნი, რომელნიც არ ჭამენ ხორცს რამოდენიმე თვეს და წელსაც კი.—ეს ხომ დიდი ქება და სახელია. ამ ორ დღეს არა ნაკლები ხარჯი იქნება, ვინემ ტირილის დღეს. ერთი ვიკითხოთ, ამდენი ხარჯის შემდეგ ბევრი იქნება ისეთი ოჯახი, რომ პირუბრუნებლათ არ გაღატაკდეს? ძალიან ცოტა. ერთი სიტყვით სამწუხარო მოვლენაა.

სამწუხარო და თან სასაცილო სვანეთის ჩვეულებაში აი რა არის: თუ ვინმე არის ისეთი, რომ მემკვიდრე არა ყავს, ის ვალდებულია თავის ალაბი სიცოცხლითვე გადაიხადოს. იწვევს სოფელს, ხოცავს ხარებს და ამზადებს სადილს. როდესაც ყველაფერი მზათ არის, ჩვენი მოხუცი შემოირტყავს ყველა თავის იარაღს და მიუჯდება იმ სუფრას, რომელზედაც დასაკურთხებელი ხორცი აწყვია. ახლა მოდის მღვდელი, და აკურთხებს სუფრას მოხუციანათ ან, უკეთ რომ ვსთქვათ, მოხუცის სუფრიანათ, რის შემდეგაც იწყება ლხინი და დროს გატარება. ბევრი თავმომწონე მოხუცი ისეთ ალაბს აკეთებს თურმე, რომ მათი ქონებიდან ერთი წლის საზრდოც არ რჩება. ერთ ასეთ სიცოცხლითვე ცხონების მსურველს მოხუცს საჯაყი კი დამართია, მე და ჩემმა ღმერთმა; უფიქრია, მაინც ჩქარა მოვკვდები, ალაბი უნდა დავაჩქარო. ალაბი კი გადაუხდია, მაგრამ მის სიკვდილს საშველი არ დადგომია: ცხოვრებს და ცხოვრებს მას აქეთ, აგერ ათი წელიწადია, ცხოვრების საშვალება კი ალაბზე აქვს შეჭმული.

მოაშე.

---

## ,,მამას სანთელი გაუქრება''.

შემოდგომის სუსხიანი საღამო იყო. მთელი დღის მოკუმშული და მრისხანე შავი ღრუბლებით მოჩითული ცა, საღამოს ჟამზე აქა იქ თეთრი ზოლებით დასერილიყო, მაგრამ ამისდა მიუხედავათ ცივი, გულის გამშრეტი წვიმა დედამიწას გულს ულადრავდა. ქ. ქუთაისის უამისოთაც უსუფთაო ქუჩები ერთიანათ აჭენჭეხებულიყო, რის გამოთაც კაცის ჭაჭანი არ ისმოდა. ამ გვარ კაცის გულის დამაყვავებელს სურათს დაარღვევდა ხოლმე დრო გამოშვებით მეეტლების და ცხენების აზვირთებულ სტიქიონთან ბრძოლა. ამ ბრძოლაში მკაფიოთ და გარკვევით გაისმოდა ხოლმე ჰაერში მეეტლეების საცოდავი გმინვა და ცხენებისაგან ტალახის მორევში ჭაპან წყვეტა. მთელი ქუთაისი რაღაც იდუმალ ძალას შეეპყრო, კაცს ასე ეგონებოდა აქ ჩვეულებრივი ცხოვრების მიმდინარეობა შეწყვეტილაო. ქუჩების მანათობელი ფარნები აქა იქ უხეიროთ და ულაზათოთ ბჟუტავდენ. ვაჭარ ხალხს დუქნების დარაბები ჩამოეხურათ და მილეული, მკრთალი ლამპრის შუქი ქურდულათ, მოკრძალებით დუქნების უსუფთაო მიდამოს დრო გამოშვებით აშუქებდა. ყველგან შავბედითი, სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. არ საიდან ხმა, არსაიდან ძახილი. მხოლოდ ამ დროს ერთათ ერთ სოლომონ მორბედაძის ქვრივის ოჯახს აინუნშიაც არ მოდიოდა ბუნების ასე ამხედრება. სოლომონის ქვრივის ოჯახში ამ საღამოს რაღაც არა ჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა. კაკატო ქვრივის (ასე ეძახოდენ სოლომონის ქვრივს მეზობლები) ოჯახში გამალებით ფუსფუსი, რამდენიმე მოწვეული დედაკაცების სამზარეულოში თავდარიგი და მზადება, მათი წამ-და-უწუმ ეზოში ფარნებით ჯარასავებ ტრიალი და ხმაურობა მეზობლებისთვის შეუმჩნეველათ არ დარჩა, მით უმეტეს ისეთ დროს, როგორიც იყო აღწერილი საღამო. „კაკატო ქვრივის თავზე ფარცაგი არ ხდებაო“ გაიძახოდენ ხოლმე სუსხიან საღამოთი გულ გამშრეტილნი კარებ ჩახულნი მეზობლები. და მითი თავდებოდა ყოველივე მოსაზრება კაკატო ქვრივის არა ჩვეულებრივ საღამოზე.

კაკატოს ქალ-ვაჟი, მარო და ვანო, რომელნიც ამდროს სამეცადინო ოთახში მაგიდას მისხდომოდენ და შემდეგი დღისთვის გაკვეთილებს ამზადებდენ, იგინიც ვერ მიმხვდარიყვენ, თუ რაში იყო საქმე. მათ ვერ აეხსნათ დედის თავდარიგის და მზადების მიზეზი. იმ დედისა, რომელიც სრულიად ჩვეული არ იყო ბედნიერ დღეებისათვისაც იმ გვარი მზადებისა, და ყოველივე ეს კი შუა კვირაში ხდებოდა. „უთუოთ დედა კაკატო ძრიელ უცხო სტუმრებს მოელისო“ თითქო ერთხმათ თავიანთი ფიქრით გადაწყვიტეს მარომ და ვანომ, და ისევ გულ დამშვიდებით განაგრძეს გაკვეთილების ბეჯითობა.

შხაპუნა წვიმა თან-და-თან ძლიერდება. შემოდგომის ტანის ამაჟრჟოლებელი, გულის გასაგმირავი

ცივი ქარი დარაზებ ჩამოხურულ ფანჯრების ირგვლივ არხეინათ დანავარდობდა და თვისი გველური სისინით მაროს და ვანოს თითქო დაცინვით ჩასჩურჩულებდა: „დიახ, დედა კაკატო ხვალ ძრიელ უცხო სტუმრებს მოელის“.

ღამის რვა საათი იქნებოდა, როცა კაკატომ ვანო და მაროს სამეცადინო ოთახის კარი შეაღო და იქვე მოწყვეტილი სავარძელზე დაეშვა. მის სახის მეტყველებას აშკარათ ემჩნეოდა, სიხარული, სიამაყე და იმავე დროს რაღაც იდუმალი მჭმუნვარება. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა, თითქო მუცელში ჩავარდნიაო. სხვა-და-სხვა ფიქრები ათას ნაირათ ერეოდენ თავში და არ იცოდა, საიდან, ან როგორ დაეწყო. ერთის ფიქრით კიდევაც გადაწყვიტა, შვილებს არას გაუმჟღავნებო, მაგრამ ეს მაშინვე ყოვლად შეუძლებლათ მიიჩნია. შვილებისათვის გაუმჟღავნელობა, კაკატოს აზრით, ყოვლად შეუძლებელი იყო, მაგრამ ამას იგი ვერ ახერხებდა. მას ლაპარაკის შნოც დაეკარგა, პირზე ერთიანათ სიწითლის ალმულმა გადაურბინა და გულმა ძალზე ბაგა-ბუგი დაუწყო. „ღმერთო ჩემო, რა შეგცოდე, რომ შვილებისათვისაც კი ვერ გამიმჟღავნებია ჩემი გულის პასუხი!“—ჩუმათ, უსიტყვოთ, ტუჩების თრთოლვით ბუტბუტებდა კაკატო. ამ სიტყვებთან ერთათ მას ელვასავე გაურბინა თავში სოლომონის უკანასკნელათ სარეცელზე მუდარებით წარმოთქმულმა სიტყვებმა: „კაკატო, მარო და ვანო შენთვის ჩამიბარეჩია. დღეის იქით შენ იქნები მაგათი დედაც და მამაც“. ამ სიტყვების მოგონებით კაკატოს გული და მუცელი ერთიანათ ჩაეთუთქა, პირისახის ნაქვთები ათასნაირათ დაელარენ; მის გარევან დაღვრემილ, დანაოჭებულ სახეს ახლა აშკარათ ემჩნეოდა, რომ ეს ქალი ზნეობრივათ ძალზე იტანჯებოდა. „მარო და ვანო დღეის იქით შენთვის ჩამიბარებიაო“ თითქმის უაზროთ ნაღვლიანის კილოთი ლუღლუღებდა კაკატო და თან-და-თან უფრო სასო წარკვეთილებას ეძლეოდა. ეს დღემდის გამამხნევებელი, სულის ჩამდგმელი სიტყვები დღეს გესლიანათ, მწვავეთ ხვდებოდენ კაკატოს გულის სიღრმის სიმებს და ერთიანათ უწამლავდენ მთელ სიცოცხლეს. ეს შავ-ბედითი მდგომარეობა მით უფრო საგრძნობელი უნდა ყოფილიყო კაკატოსათვის, რომ მას თვალწინ ცოცხლათ დაეხატა სოლომონის მკრთალი, მილეული, სულთმობრძავი, მაგრამ ამავე დროს საყვედურით სავსე სახე რომელიც თითქო ემუქრებოდა მას: „განა მისთვის ჩაგაბარე ჩემი პირმშო მარო და ვანო უკანასკნელ ამოკვნესების დროს, რომ ასე ღვთის ანაბარათ დაგეგდო, რომ ასე უპატრონოთ, უგზო უკვლოთ გაგეშვა! განა რა გაჭირვება გადგია მისთანა, რომ ღვთის მგზავსათ და ხატათ გაჩენილ არსებაებს უსპობ კეთილშობილურ მისწრაფებას! ნუ თუ შენ გგონია, რომ ის პირი, რომელსაც შენ სამუდამოთ უკავშირდები, გაუწევს მამობას ჩემს მაროს და ვანოს! როგორი სულიერი კავშირი უნდა დაიჭიროს ჩემს პირმშოებთან მან, ვისთვისაც, შესაძლოა, შენს ნივთიერ კეთილ დღეობას უმთავრესი, თუ არ უპირველესი ადგილი უჭირავს! ეგეც არ იყვეს, განა ვინ არის თავდები, რომ თქვენ სხვა არ გაგიჩნდებათ უფრო სამზრუნველო, ვინემ ჩემი მარო და ვანო! საზიზღარო, განა არ იცი, როგორი მოვალეობა მიუძღვის დედას შვილებისადმი, და შენკი მაშინ, როდესაც ეს მოვალეობა ნახევრათაც არ შეგისრულებია, კიდევ სხვა მოვალეობას გინდა ჩასჭიდო ხელი, კიდევ უფრო გინდა დაიმძიმო უამისოთაც მძიმე ტვირთი!“ ოცნებით წარმოდგენილი სოლომონის მუქარებითი სიტყვები ისე მწვავათ ჩაწვდენ კაკატოს გულის სიღრმეში, რომ მას ერთიანათ აუჩუყდა გული და ერთბაშათ წასქდა თვალების ქუთუთოებიდან ცრემლების ნაკადული. მარომ და ვანომ მხოლოთ ახლა მიაქციეს ყურადღება და გაოცებით შეცქეროდენ, დედას ეს რა ამბავი მოსდისო.

—„დედა კაკატო“, თითქო ერთ ხმით შეეხმაურენ ვანო და მარო და ერთის თვალის დახამხამებაზე კისერზე ჩამოეჯაჭვენ იქვე სავარძელზე მჯდომ საყვარელ დედას.

—დედიკო, ჰა, ეგ რა მოგდის! გაფითრებით, ყელზე მოხვეულნი ემუდარებოდენ ყმაწვილები კაკატოს, მაგრამ მიზეზი მაინც ვერ გაეგოთ.—დედიკო, შენი მარო და ვანო ნუ მოგიკვდება, გვითხარი, რათ ტირი! ეგებ ჩვენ გაწყეინეთ რამე! არა, დედიკო! მაშ, დედიკო, არ გვეტყვი, ჩვენც ვიტირებთ!—თვალებ ცრემლიანი, დაღვრემილის სახით შეჩიოდენ კაკატოს მარო და ვანო.

—არა, გენაცვალოთ ჩემი თავი, მე არა ვტირი... ისე ჩემთვის... რაღაცას თქმა მინდოდა და ზოგი რა მამაგონდა, ზოგი რა და ფიქრები ამერ-დამერიენ, ცოტათი უგუნებოთ გავხდი და თავი ვერ შევიკავე!..—წაილუღლუღა ბოლოს ძალ-დატანებით კაკატომ.—აბა გვითხარი, დედიკო რაც კი გინდოდა გეთქვა ჩვენთვის.—ერთხმათ მიაძახეს მარომ და ვანომ და ამ სიტყვებთან ერთათ ლაზათიანათ ჩაეკონენ კაკატოს გულ მკერდში.

კაკატომ ყმაწვილების ღმობიერის მოპყრობით და ტკბილის ალერსით უფრო მეტი მხნეობა მოიკრიფა და ხმის კანკალით, მთელის ტანის რხევით დაიწყო:—„აგერ ხუთი წელიწადია, რაც მამათქვენი გადაიცვალა. ამ დროს განმავლობაში ჯარასავე დაგტრიალებდით თავზე; ღმერთია მოწამე, რომ არაფერი არ დამიკლია თქვენთვის; მართალია ნივთიერათ არაფერში არ ვსაჭიროებთ: ტანიცა გვაქვს, ფეხიც, სასმელი და საჭმელიც, მაგრამ... კაცი ოჯახში დიდი იმედი და ნუგეშია! ამისათვის მე გადავწყვიტე გათხოვება და ქორწილი ხვალ საღამოსათვის მაქვს დანიშნული. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის კაცი, რომელზედაც მე ჯვარი უნდა დავიწერო, მამათქვენზე ნაკლები იმედი და ნუგეში არ იქნება ჩვენთვის!.“

ამ მოულოდნელმა ამბავმა მაროს და ვანოს ელექტრონივით დაურბინა მთელ სხეულში და რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში აგრძნობინა თავი. მათ, უსიტყვოთ, ჩამოაშორეს ხელი „დედა კაკატოს“, და თითქო შეშინებულნი განზე გაუდგენ თვის საყვარელ დედას.

შხაპუნა წვიმა ისევ ძველებურის ერთგულობით

ალერსება დედამიწას. ცივი და გულის გამაწვრილებელი იგივე შემოდგომის ქარი შესაზარლათ ზუზუნებს ჩამოხურულ დარაბების ირგვლივ და მაროს და ვანოს, თითქო ნიშნის მოგებით ჩასჩურჩულებს: „დიახ დედა კაკატო ახლაც ძრიელ უცხო სტუმრებს მოელისო!?.“

ოთახში სამარისებური სიჩუმეა. კაკატო ხან მაროს გადახედავს და ხან ვანოს და უპასუხოთ კითხულობს მათ სახეზე განუსაზღვრელს სიძულვილს —და ზიზღს.

—მარო!—უეცრივ თითქო მოულოდნელათ, მაგრამ ნაღვლიანის კილოთი შეეკითხა ვანო:—„ხვალ ამ დროს?!.

მარომ ერთი ზიზღით გადაატრიალა თვალები დედისკენ და მერე ცრემლების ღაპა ღუპით უპასუხა ვანოს: „მამას სანთელი გაუქრება!“ *)

პელაგიაშვილი.

---

*) ხალხში გადმოცემაა დარჩენილი, ვიდრემდის ქვრივი გათხოვდებოდეს, წინანდელ ქმარს განუწყვეტლივ საიქიოს სანთელი უნთიაო, ხოლო როგორც კი გათხოვდება, სანთელიც მაშინვე გაუქრებაო.



ყვავილების გამყიდავი ქალი ლეიბციგში.

## დოქტორი ქალი გრაფინა მარია ლინდენი

ჩვენი არისტოკრატიის საყურადღებოთ მოვუთხრობთ ამ ამბავს, რომ გერმანიაში მაღალი წოდების ქალები უფრო და უფრო ეტანებიან უნივერსიტეტში სწავლას და უმაღლესი განათლების მიღებას. დიდი ხანი არ არის, ტუბინგენის უნივერსიტეტმა მიუსაჯა ერთ მაღალ წოდების ქალს დოქტორის დიპლომი. გრაფინა მარია ლინდენისა არის ვიტემბერგის მეფის კამერგერის გრაფის ედვარდ ლინდენის ქალი. ის დაიბადა 1869 წელს ივლისის 18-ს. თოთხმეტ წლამდე ეს ნიჭიერი ახალგაზდა ქალი სწავლობდა თავის ოჯახში. შე-



დოქტორი ქალი გრაფინია მარია ლინდენი

მდეგ ორის წლის განმავლობაში მას ამზადებდენ კარლსრუეს ღიმნაზიის პროფესორები მატემატიკაში და ლათინურ ენაზე.

1891 წელს დაიჭირა ეგზამენი შტუტგარდის რეალურ ღიმნაზიაში. 1892 წელს შევიდა ტუბინგენის უნივერსიტეტში ბუნების მეცნიერების ფაკულტეტზე. დოქტორის ღირსების მისაღებათ მან დაწერა მეცნიერული გამოძიება, თუ რა ნაირათ განვითარებულა ქანდაკება და მხატვრობა ზღვის სარდაფზე, ანუ ხამანწკაზე.

## ავსტრიის იმპერიის კანცლერი გრაფი ბადენი

გრაფი ბადენი, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ მოიწვია ავსტრიის იმპერატორმა სახელმწიფოს უმთავრეს გამგე მინისტრათ, არის ძველი პოლშელი გვარისა. როგორც პოლონელი, ის არის ერთგული და თავდადებული თავის სამშობლო ქვეყნისთვის. ის შრომობს განსაკუთრებით პოლონიის კეთილ დღეობისათვის, მაგრამ ამ გარემოებას და მის პოლონელ პატრიოტულ ღირსებას არ დაუშლია ავსტრიის იმპერატორისათვის, რომ სრული გულდანდობა და სიყვარული მიენიჭებია ამ კაცისათვის. ჩვენმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ დასავლეთის ნაწილი პოლშისა, ანუ პოლონიისა, სახელდობ გალიცია, ავსტრიის სახელმწიფოს აქვს მისაკუთრებელი. მას აქეთ, რაც ავსტრიის იმპერატორმა მიანიჭა ამ ქვეყანას სრული თავისუფლება შინაგან ქვეყნის გამგეობაში, მისცა საკუთარი პარლამენტი, ესე იგი უფლება ხალხის წარმომადგენლების მეოხებით ქვეყნის მართვისა, მისცა თავის საკუთარს ენაზე სამართლის წარმოება, განათავისუფლა მისი ეკლესია, მიანიჭა ნება წირვა-ლოცვა და ყოველ-ნაირი ღვთის მსახურება პოლონელ ენაზე წარმოებულ იყო, მისცა ნება შკოლებში პოლონელ ენაზე ყოფილიყო სწავლა-განათლება, ეს პოლონიის ნაწილი უერთგულესი ქვეყანა შეიქნა ავსტრიის იმპერატორისათვის. რამდენათაც უწინ ღელავდა და წინააღმდეგობას უწევდა გალიცია ავსტრიის იმპერატორს, როცა იგი თავის მძვინვარე კლანჭებში გამოკლული ჰყავდა, იმდენათ დღეს გალიცია ერთგული შეიქნა ავსტრიის იმპერატორის ტახტისა, როცა მას მიანიჭეს შინაგანი თავისუფლება და ეროვნულს ნიადაგზე განვითარება. ამ შემთხვევაში დიდი ღვაწლი დადვა ავსტრიის იმპერატორის წინაშე გრაფმა ბადენიმ, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში მთავარმართებლათ იყო განწესებული გალიციაში. იმან დაამშვიდა გალიციის პოლონელები და ჩააგონა, რომ იმათი ბედნიერი ეროვნული თავისუფლების განვითარებისათვის უმჯობესი გზა ავსტრიის სახელმწიფოს ერთგულებისთანა და მისი ერთობის დაცვისთანა ჯერ-ჯერობით სხვა ღონისძიება არა მოიპოება რაო. მართლაც გალიციის პოლონელები დღეს ბედნიერათ თვლიან თავის თავს, რომ იმათს ერს და მათს ეროვნულ თვით არსებობას აღარავინ ემუქრება: არც ავსტრია, არც ვენგრია, არც ჩეხია და არც გერმანიის ნაწილი ავსტრიის იმპერიისა. თვით იმპერატორს ფრანც-იოსებს უერთგულეს ქვეშევრდომებათ მიაჩნია გალიციის პოლონელები და დიდი თანაგრ-



ავსტრიის იმპერიის კანცლერი გრაფი ბადენი.

...ითაც უყურებს ეროვნულათ იმათ გაძლიერებას. ...ევრი საგულისხმო აზრია ასეთს დამოკიდებულებაში ავსტრიის იმპერატორსა და მის მიერ დამორჩილებულ სხვა ტომის ერს შორის. ყოველივე ასეთი ავსტრიის სახელმწიფოსთვის სასიკეთო გარემოებანი დაარსდა მას შემდეგ, რაი შორს გამჭვრეტმა ავსტრიის იმპერატორმა ფრანც-იოსებმა შეიგნო, რომ დამორჩილებული გარეშე ტომის ერის ერთგულება, მხოლოთ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა თვით ამ ერის საუკეთესო მოღვაწეებს მიანდობს მის მართვას და თვით ერისავე საშოდან გამოძებნის მომქმედ პირებს. გრაფ ბადენის ამდენათ დაუმსახურებია იმპერატორის ნდობა, რომ დღეს გალიციელი პოლონელი, გრაფი ბადენი, მთელი ავსტრიის იმპერიის ხელმძღვანელი შეიქნა და მან აღნიშნა ახალი პოლიტიკა ავსტრიის ცალ-ცალკე ერების შეთანხმებისა ორი პრინციპით: შინ ყოველი განკერძოებული ერისთვის საკუთარი თავისუფლებისა და საკუთარი შინაგანი გამგეობის მინიჭება; ხოლო გარეთ მთელ სახელმწიფოსათვის შეერთებული შრომა და ერთმანეთის შეწევნით სახელმწიფოს დაცვა, განმტკიცება.

კაზიმირ-ფელიქს გრაფი ბადენი დაიბადა 1846 წელს. თავისი ადგილის შესაფერათ ის ჯერ კიდევ ახალგაზდა კაცია, 49 წლისა, და მის კაცთ მოყვარულ მსოფლიო ნაციონალურ პოლიტიკას შეუძლია მრავალი სიკეთე მოუტანოს არამც თუ შინ სახელმწიფოში, არამედ გარეშე ქვეყნებშიაც კი, სადაც დამპყრობსა და დაპყრობილ ერებს შორის მავნებელი გამწვავებული ურთიერთობა არსებობს.

## ჩვენი სახიობა

ოთხშაბათს, ამ თვის 15-ს ქართულმა დრამატიულმა დასმა ქალბატონის ავალიშვილის საბენეფისოთ წარმოადგინა დიუმა შვილის ხუთ-მოქმედებიანი დრამა: „მარგარიტა გოტიე“. შინაარსი ამ დრამისა ამ ორი წლის წინეთ უკვე მოთხრობილი იყო „კვალში“ (1893 წ. № 11). ამიტომ მისი კიდევ გამეორება საჭიროთ აღარ მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ ამ ორი-სამი თვის წინეთ გამოვიდა ქართულ ენაზე ამავე რომანის საკმაოთ ლაზათიანი თარგმანი ნ. ბადრიძისა მკითხველს უჩვენოთაც შეუძლია გაიგოს ეს შინაარსი.

მარგარიტა გოტიეს როლს ასრულებდა ქალბატონი ავალიშვილისა, რომელსაც ეს ტიპი გვარიანათ შეუგნია. მაგრამ მისი მიხვრა-მოხვრა და სიტყვა-პასუხი კი, ცოტა არ იყოს, მარგარიტა გოტიეს არ გვაგონებდა. ქალ. ავალიშვილისა, როგორც მოსალოდნელი იყო ქართველი ქალისაგან, სიტყვებს დინჯათ და მძიმეთ ამბობდა და სცენაზე მძიმეთვე მიმოვიდოდა. ნამდვილ მარგარიტა გოტიეს კი უფრო შეშვენის, რომ მისი სიტყვები მთის ანკარა წყაროსავით მოჩუხჩუხებდეს, მოკისკისებდეს და მიხვრა-მოხვრა თვალს სინარნარით იტაცებდეს. საზოგადოთ კი კარგათ ჩაატარა არტისტმა ქალმა თავისი როლი. ნამეტურ იგი საუცხოვო კარგი იყო მეოთხე მოქმედებაში. არმანის როლს ასრულებდა ვ. ალექსი-მესხიშვილი. ამ ჩვენს უსაყვარლეს და უნიჭიერეს სახიობს ხმა დაზიანებული აქვს და ეს, ცოტა არ იყოს, უშლის მსმენელებზე და მაყურებლებზე შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინოს. ამის მიუხედავათ იგი არმანის როლში საუცხოვო იყო. მან ნამდვილათ და უნაკლულოთ დაგვიხატა ის ახალგაზდა, რომელსაც პირველი, უმანკო სიყვარულის გრძნობა ასჭიკჭიკებია გულში და მისი არსება მთლათ შეუპყრია. არტისტის ნელი გამოთქმა, თითქოს ეშინოდეს, ვაი თუ სიტყვამ ვერ გამოთქვას ისა, რასაც გრძნობს, ან ეს სიტყვა ისე არ იქნეს გაგებული და მიღებული, როგორც სასურველია, გაუბედავი მისი მიხვრა-მოხვრა, სინამდვილეზე უფრო თვალწინ გვიყენებდა არმანის სახეს, მთლათ ერთ გრძნობათ გადაქცეულს. მაგრამ ეს ნაზი და მოსიყვარულე არმანი მთლათ ბოროტათ იქცევა და შურის საძიებლათ, რადგან მის გრძნობას შესაფერი დაკმაყოფილება არ მისცა მარგარიტა გოტიემ, ისე იცვლება, რომ ნამდვილი ბოროტი სული, ადამიანის შვილთა დასამცირებლათ მოგზავნილი გეგონებათ..

სხვებზე უკეთესათ შეასრულა თავისი როლი ახალგაზდა არტისტმა ქალმა ჩხეიძისამ. მან შვენივრათ დაგვიხატა მარტივი, მაგრამ თავისებური ტიპი მოსამსახურე გოგოსი. უბრალო მიმიკა, კილო, საზოგადო იერი,—ყველაფერი შესწევდა სიმპატიურ ნანინს. მის თამაშობას არ ეტყობა არავითარი ძალდატანება და ეს ხომ უპირველესი და ნიშნობლივი თვისებაა დამოუკიდებელი ნიჭისა. საჭიროა მხოლოთ შრომა. და წრთვნა ამ ნიჭისა.

სხვები თავიანთ როლებს არ აფუჭებდენ. წარმოდგენიდან ნასიამოვნები დაბრუნდა ხალხი. მობენეფისეს საჩუქრებიც მიერთვეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ს უ ბ ს ა

### I.

აჭარის მთიდან გადმოქუხს
ანკარა წყალი სუბსისა,
კლდეებზე ჩამომჩქეფარეს
მუდამ უცქირო გსურს ისა.
ნუ ფიქრომ ერთს წამს შეჩერდეს,
დაგატკბოს მისი ცქერითა.
ის სადღაც მიეშურება,
შენ გტოვებს გულის ძგერითა.
უზარ მაზარი ქვებს ეცემა,
თავზე გადმოსჩქეფს ბარჩხალოთ,
ეტყობა, გურიის ქალებს
ჩაუჩანჩქარებს საჩქაროთ.
ორსავე ნაპირს უშვენებს
მწვანეთ მოსილი ტყეები,
საკმელ-გუნდრუკის სუნს ჰფენენ
ფიჭვის და ნაძვის ხეები;
შიგ წითელ-მწვანე წინწკლებით
შეჭრელებული კალმახი
ურიცხვი ხტიან, ცელქობენ
თვალთათვის ტურფა სანახი.
მირბის, მიქროლავს, მიშხუის
კვირცხლათ, კეკლუცათ მდინარი,
შუა გაჰპო გურია,
ბუნებით ლაღი, მდიდარი.
რა კი ჩასცილდა კლდეებსა
და მოეფინა ჭალასა,
მიიკლაკნება ნებისათ
თავს აღარ ატანს ძალასა.

### II.

კიდევ აჭარის მთიდანვე
მოქუხს სხვა წყალი მოზრდილი,
ხან მრისხანეობს, ხან ომობს,
ხან არის დინჯი, მოცდილი.
ეს არის გუბაზეული
მთით მოჩუხჩუხე, ანკარა,
სუბსასთან შესაყრთებლათ
ჩარბის, ყანები ჩალარა.
მიუახლოვდა სუბსასა
მისი უნცროსი ძმია,
მათი დანახვა ყველასთვის
სასიხარულო წამია.
წინ ბახვის წყალიც შეხვდება,
სტკბება კვლავ მათი მნახველი,
ორთავეს აქვე უქრება
მათი წოდება, სახელი.
აქ გარდაეჭვდენ ერთმანეთს
ვით ძმა ძმას თანაგრძნობითა,
სუბსას სახელით მგზავრობენ
მუდამ ჟამ, ყოველ წლობითა.

### III.

სუბსა მიშხუვის, დატოვა
ბერექოულის სოფელი,
ნუ თუ ნაგომარს დახვდება
ისევ გურიის მფლობელი?
ეგ არის ძველი ამბავი,
აქ არაფერი არ არი,
არც მთავრის დიდი სასახლე,
არც თვალუწვდენი ჭადარი,
რომლის ძირს ჩამწკრივდებოდენ
დიდებულნი და მთავარი,
ჯუმათელ-მიტროპოლიტი,
ქვეყნის ერთგული მრავალი;
საკეთილდღეოთ ერისა
მსჯელობა ჰქონდათ ათასი,
ერის დამხსნელათ გამხდარა
ხშირათ აქ სჯა და ბაასი.
აქ დუღდა მთელი სიცოცხლე
გურიის კვირცხლი ერისა,
ომის დროს, ომის შნო ჰქონდათ
ლხინის დროს, ლხინ-სიმღერისა.
გურიის მთავრებს უყვარდათ
ნადიმი, ლხინი, სტუმრობა,
ჭამა, სმა, დარბაისლური
სიტყვა მოსწრებით ხუმრობა.
ათასჯერ მოფიქრებული
ზმა რომ აქ გეთქვათ საცდელათ,
წამსვე მოგცემდენ სწორ პასუხს,
თითქოს მზათ ჰქონდათ სათქმელათ.

### IV.

თქვენ ამდროს უნდა გენახათ,
გალობა, მწყობრი, ხმა ტკბილი,
ეს იყო ზეცათ გონების
ამმაღლებელი ნამდვილი.
ლოცვაში მღვდლის სათქმელს გარდა
მიწყივ გალობდენ ყველაჟერს,
ლოცვის მოსმენა უყვარდათ
მტკიცეთ, როგორც მღვდელს, ისე ერს.
და მგალობლებიც ორ გუნდათ
გალობას დაღუღუნებდა,

მათ, კანანარხი სიტყვებსა
თითქოს რომ პირში უდებდა.
ხშირათ მწუხრი და ცისკარი
მთელ ღამეს გაგრძელდებოდა,
მაგრამ, მთავარი, ან ერი
განა მით მოწყინდებოდა!
პირიქით სახლში მოსვლისას
კიდევ მათ გული წყდებოდათ,
ტკბილი ხმა, ტკბილი გალობა
კვლავ ყურში ჩაჭედებოდათ...
ნადიმის დროსაც ნადიმი
გალობით დაიწყებოდა,
დედოფალი და მთავარი,
ერიც-ამითი ტკბებოდა.
დედოფლის გუნდი და მთავრის
ორივ თვის-თვისათ ჯდებოდენ,
ვინ დავძლევთ გალობაშიო
ერთმანეთს ეჯიბრებოდენ.
კაცის ყურები მის უტკბესს
ვერაფერს გაიგონებდა,
რაც იქ „ჭრელები“ ითქმოდა,
ქვის გულსაც დაიმონებდა.
ჭრელი გალობა: „ევრიდა“,
„უკუნისამდე“, „ავვილი“,
ბევრი სხვაც ძნელი სათქმელი
ამათთვის იყო ადვილი.
ღიღინი? *) მართლა, ღიღინი,
ეს დღეს სულ მივიწყებული!
ეს იყო მრავალ ხმოვანი
ისე, ვით გალობს ბულბული.
რომ დატკბებოდა გალობით
ყველა იქ დამსწრე ლხინისა,
მაშინ იწყებდენ უცხო რამ
ხმა ტკბილ საერო ღიღინსა.
ხალხიც სხვა იყო იმ დროსი
ძმობის მოყვარე, გამტანი,
თვისი სამშობლოს დაცვისთვის
მრავალი ტანჯვის ამტანი.
სათაკილო რამ თუ ჰქონდათ,
ეგ ბატონ ყმური წესები,
მით ვერ დავზრახავთ, ეს იყო
ძველთაგან განაწესები.

*) ღიღინი, გალობის ხმის მსგავსი საერო სიმღერებია, რომელიც ძველად მგალობლებმა ურიცხვი იცოდენ და დღეს დაკარგულია. რაღაც თითო ორს კიდევ გალობენ თუმცა უშნოთ. მაგალითა: „რა აქლამი ცასა ზომდეს“, „მაღლიდან გადმომდგარიყო ფერუზი“. „შავი შაშვი ჩიოდა“. და სხვა.

სხვაფრივ, ერთმანეთს არც ერთი
არაფრით ულალატებდენ,
ერთი მეორეს სიკეთეს
უსურვებდენ და ნატრობდენ.
თუ გაბედავდა სხვა ვინმე
მათი ღირსების შელახვას,
ელვის უმალვე დასცემდენ
შეუბრალებლათ თავს რისხვას.
დღეს კი ეს კუთხე სულ სხვაა,
სიცოცხლეს ძლივსღა მოათრევს,
იმ ძველი დროის აჩრდილსაც
ვაი რომ ვერ წარმოადგენს.

## V.

 აი, ამ ადგილს შეჩერდა
სუზსა მსწრაფლ ჩამომავალი,
ძველათ ენახა აქ, ის რაც
ვთქვით, და სხვაც კიდევ მრავალი.
ბუტბუტით ჰკითხა ამ მხარეს:
თუ ძველებურ:თ ჰყვავიო?
პასუხათ ესმა: რათ მკითხავ,
რაც არა საკითხავიო.
ძველათ თუ თოფს, ხმალს, დამბაჩა!
ახლა სწავლას აქვს ძალიო;
დღეს, ჩვენი დაძაბუნება—
ჩვენივე არის ბრალიო...
სუზსამ რაღაცა უსიტყვოთ
შეიხმაურა, შესძახა,
და იქვე ციხის ნანგრევსა
მედგრათ ტალღები აჯახა.
თითქოს რომ ყბაში გაარტყა:
რათ იძაბუნებ თავსაო,
უთხარ გარს შემოსეულს ერს
მიხვდეს: კარგსა და ავსაო,
სწავლა არის თუ სხვა რამე,
რათ არ დაუგდებს ყურსაო,
და არ გაუწევს სამშობლოს
ერთგულსა სამსახურსაო.
რისთვის დაკარგეს მხნეობა,
ძმობა, ერთობა, პირიო,
დღეს მაგათ დაძაბუნებას
მეც დავკვნესი, ვოხრავ, ვსტირიო.

## VI.

სუზსა მიგრგვინავს, მიხუის,
ტოვებს ქვეყანას ბედკრულსა,
ალბათ შთაანთხევს ნალვველსა
იქ შავი ზღვისა უფსკრულსა.

მიქროლავს, ცოტა კიდევ — და
მიუახლოვდა შავს ზღვასა:
ამაყი სუბსა აპირებს
აქ ომში თავის დაზღევასა.
ზღვა ღელავს, გმინავს, მრისხანებს,
ტალღას ტალღაზე ახეთქებს,
თითქოს უპირებს ქვეყანას
შთანთქმასა, და ვერ ახერხებს.
სუბსა შეჩერდა, ნელ ნელა
შემოიკრიბა ძალღონე,
და შეეჯახა უეცრათ
კვირცხლი სიცოცხლის მქონე.
ზღვამ მისის ოდენა ტალღები
მრისხანეთ ნაპირს ალეწა,
და, როცა უკან გაბრუნდა,
სუბსა შეუხდა მას ქვეშა.
და აჰი ვერსის მანძილზე
ზღვაში ამოყო მან თავი,
ხერხით აჯობა ზღვას, თუმცა
ღონე არ ჰქონდა ამთავი.
გაჰქრა, გააპო ტალღები,
საკმაოთ ფრთები გაშალა,
რიონი, ხობი, ენგური
და ეგ ზღვა ერთათ აშალა.
ეტყობა, ოთხივ ეგ ძმები
ზღვას მიულეწავს ღონესა,
მაგრამ „ხერხი სჯობს ღონესა
თუ რომ სხვა მოიგონებსა. —“

**რ. საჯაახელი.**

---

## ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან.

### IX.

(შემდეგი *)

Თეიმურაზ მეფის კურთხევა, როგორც წინათ ვთქვით, მოხდა პირველ ოკტომბერს 1745 წელს. ნახევარ წელს შემდეგ, 13 აპრილს 1746 წელს გარდაიცვალა ქართლის დედოფალი თამარი. [1]) ამბობენ, რომ სიკვდილის წინ თამარმა მოიწვია ქართლის თავად-აზნაურობა და გამოუცხადა, რომ ქართლის ტახტს იგი უმტკიცებს თავის ქმარს მეფე თეიმურაზს. ამასთანავე თამარმა თხოვა ქართლის თავად-აზნაურებს, რომ მათ თავი დაენებებიათ სამუდამოთ მეფის წინაამდეგ მოქმედებისათვის. ქართლელნი დათანხმდნენ და ფიცი აღუთქვეს, რომ დედოფლის სურვილი ასრულებული იქმნება. [2]) თეიმურაზ მეფემ ამგვარათ მოიშორა თავიდან შინაური მტრები. ქართლში ჩამოვარდა მშვიდობიანობა. აი, სწორეთ ამ დროიდან იწყება ქართლ-კახეთის ძლიერება. მეფე თეიმურაზ და მისი შვილი ერეკლე ყოველ საქმეში ერთათ მოქმედებდნენ სამშობლოს გასადიდებლათ. მე-XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის ისტორიაში ეს დრო უნდა ჩაითვალოს უკეთეს ხანათ. მამასა და შვილს შორის სუფევდა დიდი თანხმობა და ერთობა; მათ ჰქონდათ ერთმანეთის ნდობაც. ორი წლის განმავლობაში 1747—1749 წ. ერეკლე მეფობდა ქართლ-კახეთში, რადგან ამდროს თეიმურაზი სპარსეთში იმყოფებოდა. ერეკლეს გამარჯვებულმა ბრძოლამ სხვა და სხვა ხალხებთან დიდი სახელი გაუთქვა ქართველებს. 1749 წლიდან ქალაქი ერევანი აძლევს ხარკს საქართველოს. ამავე წლის ქართველებმა დაიპყრეს განჯა და იშოვეს დიდი ალაფი. თანამედროვენი ამბობენ, რომ ცხვარი ისყიდებოდა ერთ აბაზათ; ცხენი, კამეჩი და ძროხა — ერთ მანათათ. ქალაქი განჯა შეიქმნა ქართველების მოხარკე ქვეყნათ. ქართლ-კახეთი წარმატების გზაზე დადგა. ამ ქვეყნის წინ-სვლამ ქართველებს დიდი ნუგეში და იმედი მისცა. ქართლ-კახეთის მეფენი იყვნენ გამსჭვალულნი ერთი აზრით, ერთი მიმართულებით: მათ წადილი ჰქონდათ, შეერთებინათ ეს ორი სამეფო „მჭიდროდ“, შემოეღოთ ნამდვილი სახელმწიფო წესიერება, გაევრცელებიათ სწავლა-განათლება, გაეძლიერებიათ ვაჭრობა და ალებ მიცემობა. თუმცა 1762 წელს ერეკლეს მამა მოუკვდა, მაგრამ ამ გარემოებამ ვერ დააბრკოლა მეფე — შეერთებული ქართლ-კახეთისა, რომ თავისი წადილი აესრულებია. მამის სიკვდილს შემდეგ მან დაიპყრო ქართლის სამეფო, რომელიც კანონიერათ ეკუთვნოდა. იგი გახდა ქართლ კახეთის თვით-პყრობელ მეფეთ. ამ დროს ერეკლე II-ს დიდი გავლენა ჰქონდა ერევნის, ყარაბაღის და განჯის ხანებზე. იგი თვითონ განაგებდა ამ სახანოების საქმეებსა. ამასთანავე მეფემ ის უფლებაც მიინიჭა, რომ თუ წინაამ-

---

*) იხ. „კვალი“ № 19

[1]) Hist. Mod de la Georgie გ.107, შენიშვნა 3.

[2]) ბუტკოვის მასალები. III ტომი, ფურც. 80.

დეგობას შეამჩნევდა რომელსამე ხანს, მაშინვე გამოსცვლიდა და მის მაგიერ სხვას დააყენებდა.

საზღვარ გარეთაც მეფე ერეკლეს დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ჩვენს მეფეს კარგათ იცნობდენ როგორც აზიაში, ისე ევროპაშიაც. ხონთქარი უწოდებს ერეკლეს „მცირე აზიის ლომის“ სახელს. გერმანიის გამოჩენილი დრამატურგ ლესსინგის სიტყვით, ერეკლე ისეთი ძლიერი მეფე შეიქმნა, ისეთი მამაცი გმირი გამოდგა, რომ წადილი აქვს ოტომანის იმპერია დაიპყროსო. [3] მაშინდელ გაზეთებში მკითხველი ბევრ ცნობებს ამოიკითხავს ერეკლეს შესახებ. აი, სხვათა-შორის რა სენსაციური ამბავი იყო გამოგზავნილი პარიჟიდან რუსეთში რვა ოქტომბერს 1762 წელს: „სპარსეთიდან გვატყობინებენო, რომ მეფე ერეკლე, რომელსაც წადილი აქვს ირანის ტახტი დაიპყროსო, შეებრძოლა სპარსელთ სარდალს-სოფის. ეს გაცხარებული ომი გათავდა ერეკლეს სასარგებლოთ. საქართველოს მეფემ გაიმარჯვა და სპარსეთი დაიპყროვო. ამასთანავე ორი კაპუცინის ბერი მოიწვია და სამეფო რჩევის წევრებათ დანიშნაო“. [4] ეს ზემოთ აწერილი ამბავი ტყუილი აღმოჩნდა. ერეკლეს თავის დღეში ფიქრათაც არ ჰქონია სპარსეთის ანუ სტამბოლის დაპყრობა. მას უყვარდა საქართველო და მხოლოთ მის დიდებისათვის ზრუნავდა... ჩვენთვის სხვა-ფრივ არის საინტერესო ეს ამბავი, რომელიც გავრცელდა საფრანგეთის დედა ქალაქში: იგი ნათლათ გვაჩვენებს, თუ რა სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ერეკლეს, რა დიდი ინტერესი, აღტაცება და იმედები გამოიწვია გმირ-მეფის მოქმედებამ არამც თუ ჩვენს სამშობლოში, არამედ განათლებულ ევროპაშიაც.

როგორც წინათ მოვიხსენიეთ, ერევნის, ყარაბაღის და განჯის ხანები იმყოფებოდენ საქართველოს მფარველობის ქვეშ და აძლევდენ ყოველ წლივ ხარკსა. ყარაბაღის ხანი უგზავნიდა ერეკლეს 120,000 მან. ერევნის ხანი—200,000 მან. და განჯისა—50,000 მან. ფინანსიური მხარე შეერთებული ქართლ-კახეთის სამეფოსი თან-და-თან გაუმჯობესდა. გავრცელდა ამასთანავე ვაჭრობა და აღებ-მიცემობა სხვა და სხვა ქვეყნებთან, მომეტებულათ სპარსეთთან; გაიაფდა ავეჯულობა და ხორაგი. მკითხველს კარგათ მოეხსენება, რომ ენკენისთვეში 1771 წელს [5] საქართველოში მოვიდა ნასწავლი მოგზაური გულდენშტეტი. ეს ახალ-გაზდა მეცნიერი გამოგზავნილ იქმნა პეტერბურღიდან აკადემიის მინდობილობით. მან დაწვრილებით აღწერა ჩვენი ქვეყანა. სხვათა-შორის აი რა ცნობებს ვპოულობთ მის ნაწერებში შესახებ ხორაგის სიაფისა

| | |
|---|---|
| ბათმანი [6]) ანუ 20 გირვანქა: | პური ღირდა—8 კაპ. |
| | საქონლის ხორცი—25 კაპ. |
| | ცხვრის ხორცი—30 კ. (აბაზ უზალ.) |
| | ყველი—20 კ. (აბაზი) |
| | ბრინჯი—20 კ. (აბაზი) |
| | ერბო—80 კ. (ოთხი აბაზი) |

გულდენშტეტის სიტყვით და სხვა ნასწავლ მოგზაურთა მოწმობით, საქართველოში არ იყო გავრცელებული ვაჭრობა მრავალ-გვარ გარემოებათა ძალით. ნამდვილი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა იმ დროს შეუძლებელიც იყო. მხოლოთ შედარებით სხვა დროსთან ერეკლეს მეფობაში ვაჭრობის საქმემ ჩვენში ფესვი გაიდგა. უცხო ქვეყნებიდან ბევრი ვაჭარი მოდიოდა საქართველოში და აქ ასაღებდა თავის საქონელსა. ბევრსაც საქართველოდან გასასყიდათ გაჰქონდა უცხო ქვეყნებში ჩვენი სამშობლოს ნაწარმოები. ეს იყო პირველი ნაბიჯი, დასაწყისი ნამდვილის აღებ-მიცემობისა. ნასწავლი დოქტორი იაკობ რაინეგსი ამბობს თავის ნაწერებში, რომ ერეკლეს ყოველწლივ, სხვა შემოსავალთა შორის, ეძლეოდა 25,000 მან. ეს იყო ბაჟი უცხო ქვეყნების ვაჭართა მიერ შემოტანილიო. [7]) ამ გვარი ბაჟი იყო დადებული თამბაქოზე, მარილზე, ფარჩეულობაზე და სხვა საქონელზე. ყოველ ქალაქის ვაჭარს უნდა ეძლია სახელმწიფოსთვის დაწესებული ხარჯი. თანამედროვე მწერლების მოწმობით ქალაქის ვაჭრები იხდიდენ 4,000 მან. ამ გვარათ ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეფე ერეკლეს დროს ქართლ-კახეთი ნელ-ნელა მდიდრდებოდა, მას დაეტყო კარგათ მოწყობილის სამეფოს ნიშან-წყალი. ეკონომიურმა წარმატებამ გამოიწვია ხალხის ცხოვრების საზოგადო წინ-სვლა. გახშირდა სწავლა, გაიხსნა ბევრი სკოლები. სხვათა შორის დააარსეს ორი სემინარია—ერთი ქალაქში, მეორე თელავში. ამავე დროს შეიმუშავეს პროეკტი უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ. ქალაქ გორში აპირებდენ ამ გვარ უმაღლეს სკოლის დაარსებას. აქ უნდა ესწავლათ

---

[3]) Minna von Barnhelm. Z·ssings. 1763.

[4]) ღ. ბროსსესს აზრით. ეს ამბავი დაბეჭდილი იყო ერთ-ერთ ნომერში გაზ. „Моск. Вѣдом.“

[5]) Московск. Телеграфъ. 1825 г. ст. Муханова.

[6]) ეს მეცხიერი შეცდომით უდრის ბათმანს—1 გირვანქასა პ. გ. ბუტკოვი სამართლიანად უსწორებს ამ დიდ შეცდომას. ბათმანი—20 გირვანქაა.

[7]) საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. (ივერია—1879, № 4.) ეს სტატია ნემეცურიდან არის გადმოთარგმნილი.

ქართველლებს ორი ძველი ენა ლათინურ-ბერძნული და ერთი ახალი -- ფრანგული ენა.

მეფე ერეკლე სიტყვით და საქმით ემსახურებოდა თავის სამშობლოს, რომლის დიდებისათვის იგი მზათ იყო თავი შეეწირა სხვერპლათ. იგი სულითა და გულით საქართველოს კეთილდღეობისათვის ზრუნავდა. ერეკლე არავითარ დაბრკოლებას არ ერიდებოდა, მამულის სიყვარულით გატაცებული. ვიდრე ძალ-ღონე ჰქონდა, იგი მარჯვეთ თელავდა ეკლით სავსე სარბიელსა. ეს გამოჩენილი მეფე თავისი ვაჟკაცობით, გმირობით, გასაოცარი თავ-გაწირვით ამხნევებდა და აიმედოვნებდა იმ დროინდელ ქართველებს. მას სამართლიანათ შეეძლო ეთქვა თავის თავზე ის, რაც სთქვა ანტონ კათალიკოზმა: „მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და არა მოვიცალე საქართველოს მსახურებისაგან“... მაგრამ საქართველოს ერმა თავის დროზე ღირსეულათ ვერ დააფასა მეფე ერეკლე, ეს საკვირველი გმირი და გონიერი მმართველი. ამ უკანასკნელმა თავის მლევარე სიცოცხლეში ბევრი სიმწარე დალია, არა მარტო გარეულ მტრებისაგან, არამედ თავის ქვეშევრდომ ქართველობისაგანაც. მომეტებულათ მოსვენებას არ აძლევდენ ზოგიერთი ქართლის თავადიშვილები. ამ მოუსვენარ თავადებს ერეკლე სასტიკათ მოექცა და ჩამოართვა ზოგიერთი უფლება. სწორეთ ეს გარემოება გახდა მიზეზათ, რომ ქართლში გავრცელდა უსაფუძველო ჭორი, ვითომც ერეკლე საზოგადოთ ქართლელებს ეპყრობა ისე, როგორც მამინაცვალი თავის გერებსაო... ამით არ გათავდა ამ ამპარტავან ვაჟბატონების სიბოროტე და ღვარძლი. ესენი სხვა მახეს უმზადებდენ დიდებულ მეფეს. ამ საქმეში დიდათ ისახელა გივი ამილახვრის ჩამომავლობამ. მათ შორის პირველი ალაგი ეკუთვნის გივის ძმა'ს დიმიტრი ამილახვარს. ამ უკანასკნელს ბაძავდა მისი შვილი ალექსანდრე, რომელიც სიკვდილამდის იყო დაუცხრომელი მტერი ერეკლესი. თავის დროზე გათქმული ქართლის ფეოდალი დიმიტრი ამილახვარი და შვილი მისი ალექსანდრე სიტყვით და საქმით სულ იმას უმტკიცებდენ ხალხსა, რომ ქართლის სამეფო ტახტზე მეფე ერეკლეს არავითარი უფლება არა ჰქონდა, რომ მან ეს სამეფო უკანონოთ დაიპყროვო. ამ გვარათ ეს სახელოვანი მამულისშვილები აქეზებდენ ქართლის ერსა, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ მამინაცვალ-მეფისათვის. ამილახვრის შვილების აზრით ქართლი უფრო მათ ეკუთვნოდათ, ვიდრე ერეკლეს, ქართლის მეფის თეიმურაზის შვილს. ამის დასამტკიცებლათ ალექსანდრე ამილახვარს მოყავდა ერთი საბუთი, რომელიც სასაცილოც არის და სამწუხაროც: ქართლის დაპყრობის დროს ერეკლე იმართლებდაო თავს მით, რომ ეს სამეფო ეკუთვნოდა მას დედის მხრივ. ამას ეწინააღმდეგება ამილახვარი და ამბობს, რომ „რადგან ბებიაჩემი იყო ქალი უძლიერეს ქართლის მეფის შანაოზისა ანუ ვახტანგ V-სა, ამიტომ ქართლის გვირგვინი ამილახვრის შვილების ხელში უნდა იყოსო“. ამ გასაოცარი ლოღიკის პატრონი ბეჭდავს რუსულათ ვრცელ თხზულებას და ამტკიცებს, რომ იგი მართალია და ერეკლე კი მტყუანიო.

ალ. გარსევანაშვილი

(შემდეგი იქნება)

---

მ უ ც ე ლ ა

(ზღაპარი)

IX.

შემდეგი *)

დაუძლურებულს მუცელას ერთხელ ჩაეძინა. ძილში საშინელი სიზმარი ნახა. სიზმარმა ძალიან დატანჯა საცოდავი. ცხადათ კი აკლდა ტანჯვაება, რომ სიზმარშიც არ გაწვალებულიყო, მაგრამ ტყუილათ არ არის ნათქვამი: „უბედურს კაცს ქვა ალმართში მიეწევაო“. მუცელამ შემდეგი სიზმარი ნახა: იგი მამა-პაპეულს დარბაზში იწვა ტახტზე ავათმყოფი, სულთ-მებრძოლი, როგორც იტყვიან ხოლმე მომაკვდავზე; გარს ეხვია თავისი ამფსონები, რომელთანაც იმას ბევრჯელ დროება უტარებია, ისინი ძლიერ შეწუხებული იყვენ მუცელას ავათმყოფობისაგამო, ღია განჯინაში სველი ღვინიანი გოზაური მოჩანდა და ერთიც ინდოური. დაინახა მუცელამ ეს და გრძნობდა, თუ ღვინოს მოუტანდენ და ინდოურის ხორცს აჭმევდენ, კარგათ შეიქნებოდა, მორჩებოდა. ანიშნებდა ცოლსა და ძმებს თითით: დამალევინეთ, მაჭამეთო, მაგრამ ვერ მიახვედრა, რი-

*) იხ. „კვალი“ № 48.

სგამოც დალია სული. სულის დალევის დროს მიქელ-გაბრიელი მოვიდა და იმან ჩაიბარა მუცელას სული, მაგრამ ამ დროს ეშმაკებმა სტაცეს ხელი და წაართვეს ხელიდან: „ეგ შენ კი არ გეკუთვნის, ჩვენია, აქ მოგვეციო“! დარჩა მიქელ-გაბრიელი სახტათ. მუცელა ეხვეწებოდა შველას, მაგრამ ამაოთ. გაიტაცეს მუცელას სული ეშმაკებმა, მაგრამ მუცელა განა სულათ ჰგრძნობდა თავის თავს? არა, ისე ჰხედავდა, როგორც სიცოცხლის დროს იყო თავ ფეხებიანათ. იმ წყეულებმა ისეთს ეკლიან გზაზე გააქანეს ფეხშიშველა კაცი, რომ მთელს ტანზე სისხლი წურწურით ჩამოსდიოდა... მიიყვანეს წყეულებმა ერთს ბნელს ადგილას, ცოტა იქით საზარელი ცეცხლის ალი მოჩანდა და კუპრის საძაგელი სუნი ტრიალებდა. შეხედა მუცელამ და დაინახა, წვრილი ხიდი—ის ბეწვის ხიდი იყო... აჰ, რატომ ჯამბაზობა არ ვისწავლეო, კიდეც გაიელო გუნებაში. დაბლიდან საშინელი წივილ-კივილი ისმოდა. ფრიად შეშინდა მუცელა და ტირილი მორთო.

—შენ ამ ბეწვის ხიდზე უნდა გაიარო. უბრძანეს მუცელას ეშმაკებმა ერთათ, ერთხმათ.

—აქვე მომკალით, ოღონდ მაგ ხიდზე-კი ნუ შემაყენებთო. ეხვეწებოდა ბოროტ სულებს მუცელა.

უცბათ, მისდა ილბლათ გაღმიდან ჰადმოდგა უფროსი ტარტაროზი.

— ეგ ვინ არის? ვინ მოგიყვანიათ? —შემოუძახა მან მრ ახანეთ მსახურთა თვისთა.

— მუცელა გახლავთ, ბატონო!—მიუგეს ეშმაკებმა.

—დაკარგეთ, დაკარგეთ აქედან, თვალით არ დამანახოთ. განა ჯოჯოხეთი უნდა გავაჭუჭყიანებინო მაგას?! შემოუტია გაბრაზებულმა ტარტაროზმა.

რაღა იქნებოდა, ეშმაკებმა მუცელა უკანვე წამოიყვანეს და ერთს ხრიოკს, უდაბურს მინდორზე დააგდეს; თითონ კი ვაქრენ სადღაც, წყვდიადში დაილუპენ.

მუცელა გულ-აღმა ეგდო გაშხლართული და ელოდა ანგელოზების მოსვლას: —უთუოთ სამოთხეში წამიყვანენო – ამბობდა იგი თავისთვის გახარებული. მაგრამ მოტყუვდა საბრალო, ანგელოზების მაგივრათ იმას დაესხა თავს ათასნაირი ფრინველი და ცხოველი; სად ყორნები მოყრანტალდენ და დაუწყეს თვალებს ჩიჩქნა; სად სვავების გუნდი მოფრაშფრაშდა და მკერდს უწიწკნიდენ. ფეხებს ტურები უხრავდენ, ხელებს კაჭკაჭნი უკენკდენ. საშინელება იყო, სწორეთ საშინელება! ველარ ინძრეოდა ადგილიდან მუცელა, მაგრამ ბრაზი კი მოსდიოდა.

—ვაჰ მეო, დაიყვირა, ისე მაგრა გაიქნია თავი და მიაჯახა კედელს, რომ ნახევარ საათს თავბრუ ესხმოდა...

—რა იყო? რა ამბავია? სახლი არ დაგვინგრიო, რას ჩადიხარ კაცო? დაუყვირა მუცელას რქიანამ, რომელიც ცეცხლა-პირას იჯდა და დინჯათ ყალიონს აბოლებდა. მუცელა მიჰხვდა, რომ სიზმარში ყოფილა; ამისგამო ძალიან გაეხარდა, პირჯვარი გამოისახა და ღმერთს მადლობა შეწირა.

—არაფერი, არაფერია! სიზმარში ვიყავი—თქვა მუცელამ გულ-ამოსკვნით.

მუცელა შეუდგა იმის ფიქრს. საით, როგორ გაეთავისუფლებინა თავი დევებისაგან. ლოცვა ჰირივით ეჯავრებოდა სილაღის დროს, როცა თავისუფალი იყო და ახლაკი მუდამ ღამე ლოცულობდა და ევედრებოდა ღმერთს, შეთხოვდა შველას; ეკლესიის აგება შეუთქვა უფალს. იგონებდა თავის ძმებს, თავის მეუღლეს, თავის მეგობრებს და ამბობდა...

—ნეტავი ველარაფერს მიშველიანო!—ეს ფიქრები განუშორებლათ, დაუცხრომლათ ღელავდენ მის ჭკუა-გონებაში.

ვაჟა-ფშაველა

(შემდეგი იქნება)

## საქველ-მოქმედო საქმე

დილიჟნიდან მარიამობის დამდეგს მოგვივიდა ბატონ ტ. ინასარიძესაგან შეწირულება ზეპირ-სიტყვაობის ფონდის სასარგებლოთ.

შემომწირველთა სია:

ხუთ-ხუთი მანეთი:

ს. წერეთელმა; დ. თარხან-მოურავმა; ი. დავიდოვმა,

თითო მანეთი:

მ. გოგნიევისამ, ა. ჰიჰინაძისამ, ს. საიტნოვისამ, დ. გოგნიევმა, ტ. საიტნოვმა, ა. ტრიგონოვმა; მ. ჩაჩიკოვმა, კაპ. ხოსიტოვმა, ბ. შაფაქიძემ, გ. გვარამაძემ, ა. ციხისთავმა, ი. ზარგარიანცმა, ტ. ინასარიძემ, რ. უხურგულაშვილმა, მ. ფიცხელაურმა, ნ. არონიშიძემ, ი. ბარნაბოვმა, ი. მახვილაძემ, ლ. ჯავროვმა. გ. ფხაკაძემ, ი. თუმანიშვილმა, ნ. ბოლქვაძემ, ს. ჯავროვისამ და ს. თუმანიშვილისამ.

ათ-ათი შაური

დ. ნიკიტინმა, შ. შაფაქიძემ, ა. სიმონიანცმა, №№, ა. წიკლაურმა.

ხუთ-ხუთი შაური

ი. ხაჩატურიანცმა და ა. ვექილოვმა, სულ ორმოც-და-ორი მან. შეკრებაში დიდი შემწეობა აღმოგვიჩინეს შემდეგმა პირებმა: ს. წერეთელმა, დ. თარხან-მოურავმა, ლ. ჯავროვმა და ა. ჰიჰინაძისამ.

ზეპირ-სიტყვაობის ფონდის სასარგებლოთ ყოვლად უსამღვდელოესმა ალექსანდრე ეპისკოპოსმა შემოსწირა ათი თუმანი.

ამავე მიზნით შემოსწირა სათავად-აზნაურო შკოლის ინსპექტორმა ექ. სიმ. თაყაიშვილმა ხუთი მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ 17 Ноября 1895 г. (§) Тип. М. Д, Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცის Гол. пр., 41